გონია. ეჭვი გვებადება, ესმის კი „თემს“, რასაცა სწერს, იცის რა არის „კარ-ჩაკეტილობა?“ როგორ შეიძლება ითქვას, რომ „მნათობი“ კარ-ჩაკეტილი არ არის და „სახალხო გაზეთი“ კი „კარ-ჩაკეტილიაო“. ვინც კი სრულიად დაბრმავებული არ არის, ან ძალათი არ იბრმავებს თვალებს, დაინახავს, რომ ჩვენი რედაქციის კარები ღია იმისთანა მწერლებისთვისაც კი, რომელნიც ჩვენ სავსებით არ თანაგვიგრძნობენ. გადაათვალიერეთ ჩვენი გაზეთი, დღიდან დაარსებისა და დაინახავთ, რომ ჩვენი გაზეთი ერთად-ერთი ორგანო იყო, განსაზღვრულ მიმართულებისა, რომელიც საშუალებას აძლევდა სხვებსაც, რომელნიც სავსებით არ იზარებდნენ ჩვენს მიმართულებას, თავისი აზრი გამოეთქვათ. განა მიუდგომელ მკითხველს შეუძლიან იგივე სთქვას „მნათობზე“? განა ჩვენმა მკითხველებმა და თვით „თემმაც“ ძალიან კარგად არ იცის, რომ „მნათობი“ ამ შემთხვევაში უფრო „კარ-ჩაკეტილია“ და გასავალს არ მისცემენ ისეთს მწერალს, რომელიც სიტყვა სიტყვით არ ამყარებს ერთხელ დაზეპირებულ დოგმატიურ ფრაზეოლოგიას? განა „თემმა“ არ იცის, რომ „მნათობის“ იდეიური თანამოაზრენი, სწორედ ამ „კარ-ჩაკეტილობის“ წყალობით იძულებულნი გახდნენ ცალკე ორგანო დაეარსებინათ? ბავშვმაც კი იცის, რომ „მნათობი“ სწორედ ის გაზეთია, რომელმაც შექმნა ჩვენში უკიდურესი „კარ-ჩაკეტილობა“. მაშ, რამ დააბრმავა „თემი“, რომ ვეღარა ჰხედავს იმას, რაც ყველასთვის დღესავით ნათელია? მხოლოდ ჩვენი გაზეთისადმი სიძულვილმა, უმიზეზო, და, მაშასადამე, ბრმა სიძულვილმა.

სიტყვა გაგვიგრძელდა, მაგრამ მაინც არ შეგვიძლიან ერთს გარემოებას კიდევ არ მივაქციოთ ყურადღება. „თემი“ სწერს, „მნათობი“ „კარ-ჩაკეტილობას“ არ იჩენს „თავის მიმართულებისთვის მაინცაო“. აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ „სახალხო გაზეთი“ თავის მიმართულების მიმდევრებსა სდევნის. დასკვნა ისეთია, რანაირიც მხოლოდ „თემის“ ბრძენ პუბლიცისტს შეეფერება. რანაირად სდევნის, როგორ? წერილებს არ უბეჭდავს? მოდი და ნუ გაგეცინება, მკითხველო? ჩვენც გავიცინებდით, რომ არ გვაღონებდეს ის გარემოება, რომ ბრმა სიძულვილმა გაზეთი „თემი“ ამ საცოდავ დასკვნამდე მიიყვანა?

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **ზ. ჭიჭინაძეს დაპატიმრება.** ეს მესამე დღეა, რაც დამცველ პოლიციის განყოფილების განკარგულებით ტფილისში თავის ბინაზე ჯერ გაჩხრიკეს და შემდეგ დააპატიმრეს ცნობილი ქართველი წიგნის გამომცემელი ზაქარია ჭიჭინაძე.

✦ **ახალი რკინის გზა ამიერკავკასიაში.** ამ დღეებში ტფილისიდან პეტერბურგს მიემგზავრება ტფ. მაზრის თავად აზნაურთა წინამძღოლი თავ. პ. ი. თუმანიშვილი, რომელმაც უნდა იშუამდგომლოს, რათა ჩქარა მიეცეს ნებართვა ახალ რკინის გზის გაყვანისა. გზა უნდა გაყვანილ იქმნეს სიღნაღიდან ზაქათალა-ნუხა-შემახით ბაქომდე. რკინის გზის გაყვანის მოთავეებად თავ. თუმანიშვილის გარდა ბაქოს ნავთის მწარმოებელი ტაგიანოსოვი და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგად ნამყოფი ფედოროვიჩ არიან. საქციონერო თანხა $3^1/_2$ მილიონი მანეთია, ხოლო სობლიგაციო-29 მილიონი.

✦ **ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების საბჭომ** დაადგინა, სკოლები გახსნას სოფლებს ბარის (ხევსურეთი) და შუაფხოში (ფშავეთი).

✦ **სასანიტარო დათვალიერება.** 2 დეკემბერს ქალაქის სანიტარებმა პოლიციელების თანხლებით ქალაქის მეოთხე საპოლიციო უბანში საკონდიტეროები, ფურნეები, დუქნები და სხვა სავაჭრო დაწესებულებანი დაათვალიერეს და ბევრგან სასანიტარო წესების დარღვევა აღმოაჩინეს. ყველგან შესაფერი განკარგულება იქმნა მოხდენილი.

✦ **სასულიერო უწყებაში.** ალავერდის ეპისკოპოსი დავითი გორის ეპისკოპოსად დაინიშნა ალავერდის ეპისკოპოსად ფერისცვალების და მონასტრის წინამძღოლი არქიმანდრიტი ანტონი დაინიშნა, ხოლო უკანასკნელის ადგილზე დაინიშნა ნათლის მცემლის მონასტრის წინამძღოლი არქიმანდრიტი ნაზარი.

✦ **თავის მოკვლის განზრახვა.** 3 დეკემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, მუხრანის ქუჩაზე მცხოვრებმა ალექსანდრე ბაუბეუკ-მელიქოვმა თავის მოკვლის განზრახვით გულში რევოლვერი დაირტყა. მსუბუქად დაჭრილი მელიქოვი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს.

✦ **მძარცველის შეპყრობა.** მაძებარ პოლიციის უფროსმა საიდუმლო ცნობები მიიღო, ტფილისში ჩამოვიდა ცნობილი მძარცველი, რომელსაც მეტ სახელად „პანჩო“ ჰქვიანო. „პანჩო“ შეიპყრეს და აღმოჩნდა სიღნაღის მაზრის სოფ. ჯუმათის მცხოვრები იოსები (ია) სპირიდონის ძე მაზანაშვილი, რომელსაც ადმინისტრაცია კარგა ხანია დაეძებს სიღნაღის მაზრაში ნიკოლოზ ყულიჯანოვზე თავდასხმის თვის.

✦ **მედავითნეთა სკოლა,** რომელიც დარიის მონასტერთან ამ მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა ანტონმა დაარსა, 2 დეკემბერს ექსარხოსის მოადგილემ ეპისკოპოსმა პიმენმა დაათვალიერა. ყოვლად-სამღვდელომ მოისმინა აგრეთვე მწუხრი და ბოლომდე ყური უგდო მედავითნეთა სკოლის მოსწავლეთა გალობას. ეპისკოპოსი პიმენი კმაყოფილი დარჩა და მადლობა გადაუხადა არქიმანდრიტს ანტონის მშვენიერის გალობისა აგრეთვე სკოლის საქმის რიგიანად დაყენებისთვის.

✦ **ბარბარობას, 4 დეკემბერს,** წმ. ბარბარეს ეკლესიაში (ნავთლუღში) მწირველი იყო ბაქოს ეპისკოპოსი პიმენი არქიმანდრიტის ანტონის თანამწირველობით.

✦ როგორც პეტერბურგის დეპეშა საგენტო იუწყება, სათათბიროში მყოფმა სახალხო განათლების კომისიამ მოიწონა კანონ-პროექტი კავკასიისა, ციმბირის და შუა აზიის **სამრევლო სკოლების** შესანახად 1912 წელს ხაზინიდან 210,700 მანეთის გადადებისა, ხოლო 1913 წლიდან დაწყებული ყოველ-წლივ 623,333 მანეთისა.

✦ იმავე საგენტოს ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ძირითად კანონთა მესამე მუხლის ძალით წინადადება მისცა სომეხ-გრიგორიანთა **ეჩმიაძინის სინოდს,** რომ მეტრიკული ჩაწერა სინოდის ხელქვეით დაწესებულებაში სახელმწიფო ენაზე აწარმოვონ.

✦ **3 დეკემბერს** არწრუნის ქუჩაზე მცხოვრები გიორგი სიუსუკალოვი თავის ბინაზე უეცრად გარდაიცვალა.

✦ **გომის** (გორის მაზრა) ბოქაულად სიღნაღის სამაზრო სამმართველოს მოხელე თავ. ჩერქეზიშვილი დაინიშნა. რაჭის მაზრის პირველ განყოფილების მომრიგებელ შუამავლად რაჭის „ლეხნიჩი“ მაჭავარიანი დაინიშნა. შორაპნის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ალ. წერეთელი შორაპნის მაზრის პირველ განყოფილების მომრიგებელ შუამავლად დაინიშნა.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ახალ კლუბის** წევრთა საზოგადო კრება 8 დეკემბრისთვის არის დანიშნული. კრება კენჭის ყრით აირჩევს კლუბის ახალს წევრებს და მუდმივს სტუმრებს.

**შეცდომის გასწორება.** კვირის ნომერში ორი წერილის სათაური შეცდომით დაბეჭდილი ერთი მეორის მაგიერ. **ლ. ბზვანელის** წერილს სათაურად უნდა ჰქონდეს **„ქუთაისის ვითარება“,** ხოლო, მეორე წერილს კი—„ქუთაისის ბანკის გარშემო“.

# დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

**ხონი.** დღეს ხონის ტაძარში მოწაფეთა და საზოგადოების თანადასწრებით გადახდილი იქმნა პანაშვიდი, ხონის დედათა სკოლის მასწავლებლად ნამყოფ, განსვენებულ ნინო ივანის ასულის ქიქოძის სულის მოსახსენებლად. ტაძრის მღვდელმა გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა.

**ივანე მარაშიძე.**

## სამგლოვიარო დეპეშა

**ხ არბინი.** ხარბინის ქართველობა უღრმესად დამწუხარა ეგოდენ მოსიყვარულე, ენერგიულ საზოგადო მოღვაწის დაკარგვამ, როგორც იყო, განსვენებული ნ. ზ. ცხვედაძე. ჩვენს თანამემამულეებთან ერთად ვგლოვობთ ამ აუნაზღაურებელ დანაკარგს.

**ხარბინის ქართველ საზოგადოების გამგეობა.**

# საქალაქო არჩევნები

საარჩევნო კრებები 4 დეკემბერს დილის 10 საათზე დაიწყო. დამატებითი კრებები ნაშუადღევის სამს საათზე დასრულდა, ხოლო ძირითადი კრებები—საღამოს ექვს საათზე.

**პირველ საარჩევნო უბნის დამატებით კრებაზე არჩეულ იქმნენ:** ხმოსნად — დიმიტრი ალექსანდრეს ძე რუსანოვი (99—34), ხოლო კანდიდატებად—ალექსიმ აქსიმეს ძე მარგოლიუსი (90—43), პეტრე სვიმონის ძე ვასილიევი ალექსანდრე (86—47) და არტემას ძე მირაქოვი (72—61).

**მესამე საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა დამატებით კრებაზე არჩეულ იქმნენ:** ხმოსნებად—ივანე სერგეს ძე ალიხანოვი (81—77) და არტემ სტეფანეს ძე აპრიამოვი (82—76) კანდიდატებად: ივანე ნიკოლოზის ძე კვეზერელი-კოპაძე (81—77) სტეფანე გრიგოლის ძე მაზმანოვი (120—38), გრიგოლ ივანეს ძე ოგანეზოვი (80-78) სვიმონ ილარიონის ძე ფურაქაშვილი (111—47) და კონსტანტინე სტეფანეს ძე სარქისოვი (83—75).

**მეოთხე საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა კრებაზე ხმოსნებად არჩეულ იქმნენ:**

ბოლდან ლაზარეს ძე არუთინოვი (121—13), 2) კიარიმ ბეგ ვექილოვი (93—41), 3) იაგორ თომას ძე ჯანაგოვი (95—39), 4) მიხეილ ზურაბის ძე ქანანოვი (97—37), 5) სტეფანე პეტრეს ძე მანველიანცი (89—45), 6) არკადი ნაზარას ძე მილოვი (113—21), 7) გაბრიელ ზაქარიას ძე თამამშევი (91—43), 8) არტაშეს მიხეილის ძე ტერტეროვი (91—43) და ლაზარე ფიდეს ძე ტიგრანოვი (101—33).

ასარჩევი დარჩა 2 კანდიდატი. ამიტომ მომავალ კვირას დამატებითი არჩევნები მოხდება.

**მეხუთე საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა კრებაზე ხმოსნებად არჩეულ იქმნენ:**

1) სამუელ ალაის ძე ბალაგიანი (224—210), 2) გერმან ივანეს ძე ბარტი (220—208), 3) სპირიდონ იოსების ძე ვაწაძე (226—201), 4) გიორგი დურმიშხანის ძე ჟურული (273—162), 5) ალექსანდრე ივანეს ძე კაზაკოვი (232—205), 6) ნიკიტა მაკარის ძე ყარა-მურზა (263—175), 7) პეტრე სოლომონის ძე კიზირია (241—198), 8) დავით ივანეს ძე ყორღანოვი (243—193), 9) მიხეილ ვიქტორის ძე ლეუყვილი (250—184), 10) ალექსანდრე ივანეს ძე მიტკევიჩი (246—191), 11) თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი (272—165), 12) გიორგი ივანეს ძე ხატისოვი (225—202), 13) არტაშეს ამბარცუმას ძე ენფიაჯიანცი (243—192) და 16) გრიგოლ ზაქარიას ძე იარალოვი (234—199).

ამ რიგად არჩეულ იქმნა 14 ხმოსანი. ასარჩევია კიდევ 8 ხმოსანი და 4 კანდიდატი. დამატებითი არჩევნები მომავალ კვირას მოხდება.

**მეექვსე საარჩევნო უბნის კრებაზე არჩეულ იქმნენ: ხმოსნებად—** 1) ალექსანდრე ფარსადანის ძე ქობულაშვილი (42—25), 2) სერგო ანდრიას ძე ქსავერიევი (49—18) და 3) იაგორ ალექსანდრეს ძე უტაშევი (58—9). კანდიდატად: იაკობ სპირიდონის ძე ფანცხავა.

**მეშვიდე საარჩევნო უბნის კრებაზე არჩეულ იქმნენ ხმოსნებად:**

1) თავ. ნიკოლოზ იაგორის ძე არღუთინსკი-დოლგორუკოვი (88—24), 2) არშაკ სერგოს ძე ბაბოვი (85—26), 3) მიხეილ ალექსანდრეს ძე ჯაბარი (92—19), 4) სვიმონ ანდრიას ძე მინეევი (63—48), 5) პავლე ივანეს ძე სოსინი (62—49), 6) გრიგოლ ნიკოლოზის ძე თოიძე (59—52) და 7) ნორაირ ლეონტის ძე ხარაზიანი. კანდიდატად ვასილ დავითის ძე მამულოვი (58—53) აირჩიეს.

# მაროკოს საქმე

(დ ე პ ე შ ე ბ ი).

**პარიზი.** დეპუტატთა პალატაში მილერანმა განაცხადა, საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმებას მხარს დავუჭერ, რადგან მაროკოს პროტექტორატი საფრანგეთის პოლიტიკის ტრადიციას ეთანხმება და ესპანიასთან მოლაპარაკების სარჩულად უნდა დაიდოსო, საფრანგეთი ინგლისს უნდა ჰმეგობრობდეს და რუსეთის კავშირიც დაიცვასო. როდესაც საქმე ასე იქნება, მაშინ შეგვიძლიან ხელშეკრულება რანაირადაც გვინდა, ისე მოვიხმაროთო.

ამბობენ, დე-სელვს მილერანი შესცვლისო. მილერანის გუშინდელი სიტყვა ყველამ მოიწონა და სამინისტრო პროგრამადაც მიიჩნიეს იგი.

# მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიისათვის

„ცისკარი“ და „საქართველოს მოამბე“.

(1852—1863 წ.)

(შემდეგი *)

ილია ჭავჭავაძემ უპასუხოდ არ დასტოვა თავისი მოპირდაპირენი. ივ. კერესელიძემ დაუბეჭდა პასუხი, მაგრამ ეს პასუხი აკრულა თავის კრიტიკულის შენიშვნებით. იგი აშკარად მიემხრო ძველებს და ამაში მოულოდნელი არაფერია. თავის პასუხს ჭავჭავაძე უკეთებს საყურადღებო ეპიგრაფს, ბელინსკის ნაწერებიდან ამოწერილს. ეპიგრაფი ამგვარია:

„Изъ нашей литературы хотятъ устроить большую залу, и уже зазываютъ въ нее дамъ; изъ нашихъ литераторовъ хотятъ сдѣлать свѣтскихъ людей въ модныхъ фракахъ и бѣлыхъ перчаткахъ; энергію хотятъ замѣнить вѣжливостью, чувство—приличіемъ, мысль—модною фразою, изящество — щеголеватостью, критику—комплиментами[1])“.

და ამ ეპიგრაფის შემდეგ, ჩვენი ავტორი ამბობს: „ბარაქალა, ჩემო სტატიავ, ბარაქალა. ვისაც თავის დღეში კალამი ხელში არ აუღია, იმასაც აადებინა, ვისაც მართალი სიტყვა პირდაპირ ნათქვამი თავის დღეში არ გაუგია, იმას მართალის თქმით გული აუმღვრია. ვისაც შინიდან ფეხი კარში არ გამოუდგამს და რადაც ანბანის თეორეტიკის მეტი არა უკითხავს რა, ისიც კი ალაპარაკე თეორეტიკის გარეშე საგანზე. ბარაქალა, ბარაქალა! სამი სტატია ერთს სტატიაზედ რა ამბავია[2])?.. ამ შესავალის შემდეგ ჩვენი ავტორი განსაკუთრებულის სიმკაცრით არჩევს კნ. ბარბარე ჯორჯაძის მისდამი მიმართულ კრიტიკულ წერილს.

„სწორედ მოგახსენოთ, ამბობს იგი, ეგ თეორეტიკა არ ვიცოდი, მაგრამ თეორეტიკით დახელოვნებული ჩემი მოპირდაპირე ისეთი კეთილი გულისა ყოფილა, რომ განსაზღვრავს იმ თეორეტიკას ანუ სწავლას ხელოვნებითის სიტყვიერებისას ამ რიგად: თეორეტიკა გვასწავლისო ა, ბ, გ, დ, და სხვანი, რა რიგად იხმარებიან სიტყვებშიაო, რა რიგად შეადგენენ მარცვალსაო,—და ამ სწავლასა ხელოვნებითის სიტყვიერების სწავლას ეძახის ჩვენი მწერალი ქალი!!! აი რა ძნელი ყოფილა შინიდგან გამოუსვლელობა და უნივერსიტეტის ვაცინება, აქედან სჩანს, რომ არც ხელოვნება ესმის ჩვენს მწერალს ქალს და არც სიტყვიერება. ასოს ხმარების გამოსაზღვრელი საგანი ტყუილად სჩრიპობს ხელოვნების სწავლის სახელსა. ასოს ხმარებას სწავლა არ უნდა. თითონ სიტყვა გვასწავლის, სად რომელი ასო უნდა ვიხმაროთ, მერე თვით ასოს ხმარება გარეგანი საგანია,—ეგ მექანიკური მიკერძოებაა... ეგ ხელოსნობაა და არა ხელოვნება. ხელოვნება არის განხორციელება სახეში იდეისა, აზრისა: მუსიკა, მხატვრობა, პოეზია—ესენი სულ სახეში გამოსთქვამენ იდეას, მხოლოდ იმით განიყოფებიან, რომ თავის იდეის გამომთქმელად სხვა და სხვა მასალებსა ხმარობენ, როგორც მუსიკა—ხმასა, მხატვრობა—ხაზსა, პოეზია—სიტყვასა. სიტყვიერებით ხელოვნება პოეზიასა ჰქვიან, რადგანაც სიტყვის საშუალებით და შემწეობით ასრულებს ხელოვნების მნიშვნელობასა. მაშასადამე, ანბანის განსაზღვრა ხელოვნება არ არის, მაშასადამე კნ. ჯორჯაძისას არ უნებებია გაგება იმისი, რაც წაუკითხავს და რაც თავის გულწრფელობით უხმარია. მოგვილოცნია! ხელოვნების სწავლისათვის საკვირველი წიგნების ამორჩევა სცოდნია! თითონ თეორეტიკა — ეგ სხოლასტიკის ნაშთი—რა არის რო, მასზე აშენებული განვითარება რა იყოს? ყოველის მწერლისათვის საჭირო და აუცილებელია იცოდეს თეორეტიკა ანუ სწავლა ხელოვნებითის სიტყვიერებისა, ესე იგი ანბანის განსაზღვრაო, ბძანებს ჩვენი მწერალი ქალი. იქნება ეგ საჭირო იყოს როგორც მწერლისათვის მელანი და კალამი საჭიროა, ანუ მატემატიკისათვის ნუმერაცია: ვისაც წერა უნდა, ანბანი უსათუოდ უნდა იცოდეს, მაგას თქმა არ უნდა. რომ, როგორც მარტო ნუმერაციის ცოდნა არ შეიქმს მატემატიკას, ისე მარტო ანბანის ცოდნა არ შეიქმს მწერალსა... [3]) უბედურება ჩვენი ის არის, განაგრძობს ჭავჭავაძე, რომ შევბეჭდავთ თუ არა ანბანის თეორეტიკის კანონით უაზრო ლექსებს, გვგონია, რომ ხელოვნებას დიდი რამ შევძინეთო, იმიტომ'ა გვგონია, რომ ჩვენს ლექსში „ა“ თავის ალაგას ხმარებულია, „ბ“ თავის ალაგას. თუ „ცისკარი“ უარგისია კიდევ თქვენგან, ყვავებს ფარშევანგის ფრთებითა, ბულბულებს ყორნის ჩხავილითა!“ [4])

ჭავჭავაძემ გაბედვით დაუწყო დევნა „ცრუ ხელოვნებას“ და „რითმებით მორახუნე“ პოეტებს. ამას ცრუ პოეტები, რომელთა რიცხვი დიდი იყო, ვერ აპატიებდნენ ახლად მოვლენილ კრიტიკოსს. შურის-საძიებლად დაესივნენ ჭავჭავაძის ლექსებს და ძიძგნა დაუწყეს. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი იმ დროინდელ „კრიტიკულ“ ნიმუშებისა. ცნობილი ლექსი „მამულო საყვარელო შენ როსღა აყვავდებიო“ თ-დ გ. ბარათაშვილს სასაცილოდ აუგდია. ამის გამო ილია ამბობს: „ჩემ ამ ორ ლექსში მწვანე ბილახის ნატვრა დაუნახავს (ბარათოვს) თავის სამ განსაცვიფრებელ ნიშნებითა. იქნება მკითხველი არ იჯერებდეს ამგვარ ამ ლექსის გაგებას, რადგანაც მართლა ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ აი უფ. ბარათოვის სიტყვები: „გაზაფხულში პოეტი გულით ნატრობს საყვარელ მამულის აღყვავებას, ნეტავი დაანახვა ეხლა საქართველო როგორ მწვანე ხავერდივით ბიბინებს!!! „უფ. ბარათოვი, განაგრძობს ჭავჭავაძე, სწორეთ იმ მოკრივეს ჰგავს, რომელსაც ერთი ხელი მოკლე აქვს და ერთი გრძელი, ისიც მარცხენა; გრძელის ხელით მტერსა სცემს და მეორე მოკლე ხელით თავის თავსა“. (იქვე, გვ. 201, 203). კნ. ჯორჯაძემ, თავის მხრივ, სასაცილოდ აიგდო ჭავჭავაძის შემდეგი ლექსი „მისი ლექსი სუბუქ ფრთითა ხან მეჯლისში შეჰფრინდება“. ამის გამო ილიას მოჰყავს კნ. ჯორჯაძის შემდეგი სიტყვები: „თვალ დაკვირვებით“, რომ გავსინჯოთ, ვერ გავიგებთ ამ ლექსში რის თქმა უნდაო? სიტყვა ესე „სუბუქ“ ქართული არ არიო, „სუბუქი“-კი არის ქართულიო... მაშ აი თქვენი ნაქები ჩახრუხაძეც, განაგრძობს ილია: „თამარ წყნარი, პირ მცინარი“. თქვენის აზრით „პირ“ ქართული არ არის? აი რუსთაველიც: „მოდგა თეთრ ტაიჭოსანი“. თეთრ ქართული არ არი? აი თ. ორბელიანიც: „უმწედ, უნუგეშ“, ქართული არ არის განა?.. (იქვე 226) მერე ჩვენი მწერალი ბძანებს, ერთის ფრთითა ვინა ფრინავსო? თქვენ, თქვენ თითონ, ჩემო ბატონო. ესე იგი, მარტო ანბანის თეორეტიკით დაფრინავთ ჩვენ სალიტერატურო ჟურნალში. როცა ამბობენ: ჩემის თვალით ვნახეო, ჩემის ფეხით მოვედიო, თუ მართლა ერთის „ფეხით“ მიხტოდნენ და ერთის „თვალით“ ხედავდნენ. სულაც არა, მაგრამ ამბობენ კი. მაშასადამე, ჯერ ხალხს მოაშლევინეთ ეგრედ ულოდიკო ლაპარაკი და მერე მე. წინათვე მოგახსენებთ, ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთ თეორეტიკა. (იქვე, 227)... მთელს სტატიაში ერთი ნამდვილი შენიშვნა აქვს ჩვენ მწერალ ქალს, განაგრძობს ავტორი—ეგ მერცხლის ჰყივილზედ. მართლაც არის, უხერხოთ არის მანდ ეგ ზმნა ხმარებული. მაგ ლექსს ღირი გამოუხატავს ჩემს კრიტიკოსების მოგონებაში. თუმცა სწორედ რომ თქვას კაცმა, მარტო ღირი არ მოაგონდება მაგ ზმნით კაცს. რამდენ ჯერ გაგვიგია, ფრინველი ჰყივისო, ყმაწვილს ნუ აჰყივლებთო. (იქვე, 229).

როგორც ვიცით აყვედრებდნენ ჭავჭავაძეს, გაუგებარ სიტყვებს ხმარობ და ქართულ ენას რყვნიო. „მწერალი ქალი მთხოვს, ამბობს ჩვენი ავტორი, „შევასმინო მის გაუნათლებელ გონებას განათლებულმა სტუდენტმაო“ რა მნიშვნელობა აქვს სიტყვებს: ესტეტიკური, სენტიმენტალური, დრამატიზმი და სხვანი, ეს სიტყვები საჭმელათ მიუღია ამ მწერალ ქალსა. მე აქ არა მეთქმის რა იმის გარდა, რომ ეგ სიტყვები სუსტ არსებისათვის ძალიან ძნელი მოსანელებელიაო... (იქვე, 230).

ჭავჭავაძის წინააღმდეგ მიმართული კრიტიკა ისეთი „საცოდავი“ იყო, რომ ამგვარის ოხუნჯობით აძლევდა პასუხს თავის მსაჯულებს. მაგრამ სერიოზულ სჯა-ბაას იგი არ გაურბოდა. საჭირო იყო განმარტება, თუ რა არის კრიტიკა და როგორი უნდა იყოს იგი. „კრიტიკა, ამბობს ავტორი,—ამის თანასწორ მნიშვნელობის სიტყვა არ არის ქართულს ენაზედ და არც ძალიან საჭიროა, რომ იყოს, თუმცა უკეთესი იქნებოდა, რომ ყოფილიყო, რადგანაც ეგ დაგვიმტკიცებდა, რომ ჩვენი მამა-პაპანი მაგ მხრით განვითარებულნი ყოფილან. სადაც სახელია, იქ უთუოდ საგანიც უნდა იყოს. ეგ სიტყვა ეხლა მთელ კაცობრიობას ეკუთვნის და ყოველი ხალხი ცოტა ოდენათ განათლებული ხმარობს თავის ენაში; მაშასადამე არც ჩვენთვის არის დასაძრახისი, რომ ეგ სიტყვა ჩვენში იხმარებოდეს. „კრიტიკა“ არის განხილვაც, გარჩევაც და დაფასებაც ერთად. როცა რომელსამე საგანს ფასსა სდებს კაცი, ჯერ ამის ღირსებას იტყვის (თუ აქვს ღირსება) და დაამტკიცებს, მერე ამბობს, ამოდენად ღირსო, ეს იგი შინჯავს შიგნიდამ და გარედამ საგანსა, ყოველს მის თვისებასა, არჩევს ცუდსა

*) იხ. „სახალხო გაზეთი“ N 467.

[1]) ჩვენი ლიტერატურა ხალხზე დარბაზად უნდა გადააკეთონ. და უკვე ქალებსაც ეპატიჟებიან. ჩვენი ლიტერატორები ფრაკებში და თეთრ ხელთათმანებში გამოწყობილ მოდის კაცებად უნდა აქციონ. ენერგიის ნაცვლად მოწიწებას ეთაყვანებიან, გრძნობის ნაცვლად ზრდილობიანობას. აზრი მოდის ფრაზებით უნდა შესცვალონ, მოხდენილობა—გადაპრანჭულ პრანჭიაობით და კრიტიკის ნაცვლად კომპლიმენტები იხმარონ.

[2]) N 6. 1861 წ.

[3]) ibib.

[4]) ibid.

საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმების განხილვის დროს სემბამ განაცხადა, სოციალისტები შეთანხმებას მიემხრობიან, რადგან იგი მშვიდობიანობის უზრუნველ ყოფად მიაჩნიათ. გარეშე საქმეთა კომისიის პრეზიდენტმა დეშანელი ესპანიის მოლაპარაკებას შეეხო და სთქვა, საქმე ეხლა ბევრად გაადვილდა, გერმანიასთან შეთანხმების შემდეგო. საფრანგეთმა პატივი უნდა სცეს—კონგოში ბელგიისა და მაროკოში—ესპანიის უფლებას. შემდეგ გერმანია-ინგლისის ურთიერთობის გამწვავება და იტალია-ოსმალეთის ომი აღნიშნა; საფრანგეთს ამისთანა პირობებში სიბრძნე და სიფრთხილე ჰმართებსო.

**ვენა.** ავსტრია-უნგრეთის მთავრობამ სიტყვიერად განაცხადა, პრინციპის მხრით ვეთანხმები საფრანგეთ-გერმანიის მიერ მაროკოს თაობაზე დადებულ ხელშეკრულებასაო.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

**საზღვარ-გარეთ.**

3 და 4 დეკემბერი.

**ვენა.** დეპუტატთა პალატამ ექვსის თვის ხარჯთ-აღრიცხვა მიიღო, ბუთფენდორფის გადადგომის თაობაზე შეკითხვა შეიტანეს. მინისტრ-პრეზიდენტი შტურკმა შეკითხვებს უპასუხა და, სხვათა შორის, სთქვა: სამხედრო თანამდებობაზე ვისიმე დანიშვნის უფლება მეფეს ეკუთვნისო. გადადგომის მიზეზი გარეშე პოლიტიკა არ არის. შემდეგ მინისტრმა გაჰკიცხა სოც.-დემოკრატები, გავრცელებულ ჭორებზე საშინელს შეკითხვა, გითომც მთავრობის წრეებში მონარქიის ტრადიციულ პოლიტიკის საწინააღმდეგო მოძრაობა და აზრი დაბადებულიყოს. შემდეგ შეეხო სახელმწიფოებთან ურთიერთობას და სთქვა, შიში არა მოგველის რაო. ზუიტეცმა წინადადება მისცა პალატას, კამათი გაგვემართოთ განმარტების თაობაზეო. პალატამ ეს წინადადება უარჰყო.

**ზაგრები.** ბ-ნმა (შეფის მოადგილე) ტომაშიჩმა თავისი კანდიდატურა ზაგრებსა და ოგულინში წამოაყენა. ოგულინში დიდმა უმრავლესობამ კოალიციის კანდიდატი ვიცებანად ნამყოფი ნიკოლიჩი აირჩია. ზაგრების ჯარის უფროსს უბრძანეს, საარჩევნო დარბაზში ოპოზიციონერებს ნუ შეუშვებს, მაგრამ უარი სთქვა და ამის გამო საარჩევნო დარბაზის კარი ნახევარი საათით ადრე დაჰკეტეს. ოპოზიციის ამომრჩევლები სადღესასწაულოდ შიგ შეჰრიალდნენ, მაგრამ ჯარმა არ გაუშვა 60 კაცი დააპატიმრეს. მთავრობის პარტიის კანდიდატებს დაგვიანებულსაც უშვებდნენ. საარჩევნო საქმის კომისიამ პროტესტი განაცხადა და თანამდებობიდან გადადგა. კომისარმა მაინც არ გადასდო არჩევნები და ბანი აირჩიეს ოთხის ხმის უმეტესობით. არჩევნებს განსაზღვრავენ. სულ არჩეულია 56 კაცი, ამათში მთავრობის პარტიისა 20, 12 რადიკალი და 15 ხორვატიის სახელმწიფო უფლების ფრაქციისა. სერბიელ ხორვატთა კოალიცია, ვისაც მთავრობა ებრძვის, (10?) აირჩევით.

**ვენა.** ხორვატიისა და სლავონიის დეპუტატებმა სამხედრო მინისტრს პროტესტი განუცხადეს, ავსტრიის ჯარი არჩევნების დროს ბანის ხელში რათ ჩააგდეთო, ვენის გაზეთები აღნიშნავენ, ხორვატიის არჩევნებში ტერორი გამეფებულიაო. დღეს 16 კაცი უნდა აერჩიათ, ორშაბათს დანარჩენი 14. მთავრობის მიერ გამოქვეყნებული ცნობანი არჩევნებისა, როგორც სჩანს ყალბია. ამბობენ, კოალიციის კანდიდატები ბევრად მეტნი აირჩიეს, ვიდრე მთავრობამ გამოაცხადა.

**ვაშინგტონი.** სენატი ეხლა რუსეთ-ამერიკის შორის დადებულ ხელშეკრულების შესახებ აღარა თხოულობს ებრაელთა უფლების შესახებ კანონების შეტანას დასჯერდება. ახალი შემობრუნება გამოიწვია შიშმა, ვაი თუ რუსეთი, ამერიკის რამე ნაწარმოებებს, იაპონიას შეუძაგროსო და ეს კი ძალიან ავნებს ჩვენს ვაჭრობას აღმოსავლეთშიო.

**ვენა.** პოლონელთა კოლოს ვიცე-პრეზიდენტმა სტაპინსკიმ უარჰყო, გითომც დემოკრატების ერთობის, ხოლმის გამოყოფის საქმეში ნუ ჩაერევიო. კოლომ გადაწყვიტა მოწოდება გამოსცეს, სადაც უნდა აღინიშნოს ვენის კონგრესის დადგენილების დარღვევა, პოლონელთა უფლების ფეხქვეშ გათელვა და მიუწვდომოს გალიციაში მცხოვრებ პოლონელებს, წესიერება არ დაარღვიონ.

**ბელგრადი.** სკუპშინაში ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს, გარეშე საქმეთა მინისტრმა მილოვანოვიჩმა ნოვაკოვიჩის საპასუხოდ განაცხადა, ევროპას უნდა ნუ მივმართავთ, რადგან წინანდელ არავითარი გამოცდა მაგისთანა მიმართვისათვის. ჩვენთვის უმჯობესია თუ ევროპა ბალკანეთის საქმეში სრულიად არ ჩაერევა.

**ლონდონი.** პარლამენტის სესია დაიკეტა სეფე სიტყვის შემდეგ; სიტყვა აღნიშნავდა სახელმწიფოებთან კეთილ განწყობილებას, ურთიერთობას და მწუხარებას გამოსთქვამდა იტალია-ოსმალეთის ომის გამო, თანაც დასძენდა, ინგლისმა ნეიტრალიტეტი საკუთარ უნდა დაიცვასო. შინაურ საქმეებში აღნიშნულია საადგილო უფლებათა კანონის შეცვლა.

**ბუდაპეშტი.** იუსტი ბათიანი მთავრობას შეეკითხა ხორვატიის არჩევნების დროს ტომაშიჩის მიერ კონსტიტუციის დარღვევის თაობაზე. მინისტრ-პრეზიდენტმა უპასუხა, მაგის გარჩევა ხორვატიის სეიმის საქმეა და არა უნგრეთისაო.

**ზაგრები.** საარჩევნო კომისიის წევრებმა ტომაშიჩის არჩევანი გაასაჩივრეს. კოალიციის თითქმის ყველა გამოცხადებული წევრი აირჩიეს.

**ბერლინი.** შვეიცარიის საელჩოს ამბავი მოუვიდა, დანზენსა და პისტრალდის სატრანსპორტო ფირმამ პარიზს გაუგზავნა ამასწინად გატაცებული ჯოკონდას სურათი შიიღოთ. ამანათს უცნაური დაადეს. კურის პარიზიდან ექსპერტების მოსვლას ელიან.

სურათი გახსნეს, მაგრამ ჯოკონდის ზომისა არ აღმოჩნდა. ამბობენ, ეს სურათი ადრინდ ფლორენციის რომელსამე მუზეუმს ეკუთვნისო.

**ლონდონი.** სადამის დაბურულ ქალთა კავშირის კრებაზე კრებამ და ლოიდ-ჯორჯმა ილაპარაკეს. როცა მინისტრები კრებიდან გადიოდნენ, ვიღაც მამაკაცმა, სუფრაჟისტების მომხრემ ლოიდ-ჯორჯს თუნუქის პატარა ყუთი ესროლა, მინისტრს ტუჩი და მარცხენა თვალი ძლიერად დაუშავდა. სადამოსხნს ეჭვით ერთი კაცი შეიპყრეს.

**ვაშინგტონი.** რუსეთის ელჩმა პრეზიდენტ ტაფტს პროტესტი განუცხადა 1832 წ. რუსეთთან დადებულ ხელშეკრულების გაუქმების გამო. ტაფტმა კაბინეტის წევრები მოიწვია და აღნიშნა ის სერიოზული მნიშვნელობა, რასაც იგი მიაწერს პროტესტს.

**შენიშვნა.** პეტერბურგის სააგენტო იუწყება, ეხლა პროტესტი არ განუცხადებიათ.

**ვაშინგტონი.** სენატის წარმომადგენლები აცხადებენ, ორშაბათს სენატი რეზოლუციას მიიღებს, რითაც თუმცა ცოტაოდნად შესცვლის პალატის დადგენილებას, მაინც რუსეთთან ხელშეკრულების მოსპობას მოითხოვს.

**პარიზი.** გაზეთების სიტყვით, მაროკოს ჯარს ფრანგების მეთაურობით, შეტაკება ჰქონია ფეცის გარეშე მცხოვრებ ბერბერებთან. ბერბერებისთვის სამი მოუკლავთ და ათი დაუჭრიათ.

**ზაგრები.** აირჩიეს კოალიციის 20 კანდიდატი, უფლებათა პარტიისა—20. მთავრობისა—50 (?). კიდევ არჩევნები უნდა მოხდეს 18 ოლქში.

**სოფია.** მაკედონელები კრებებს ჰმართავენ და რეზოლუციებს გამოაქვთ, რითაც ბულგარეთის მთავრობას დახმარებას სთხოვენ. გადასწყვიტეს, დიდ სახელმწიფოებს მიმართოთ რათა მაკედონიაში ბერლინის ტრაქტატის თანახმად რეფორმები შემოიღონ. ამისთანა კრებები ბულგარეთის ბევრ ქალაქში მოხდა.

## რ უ ს ე თ ი.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-ღრიცხვის განხილვის დროს მომხსენებელმა გოლიცინმა სათათბიროს ყურადღება მიაქცია, იმ გარემოებას, რომ შტატ ბით მხედველობაში მიღებულია მხოლოდ სამი დამცველი განყოფილება და მათ შორის კი კიევის განყოფილება არ არის მოხსენებულიო. გოლიცინი სთხოვს უწყებათა წარმომადგენელს, განუმარტონ, თუ რომელ წყაროდან ინახება კიევის დამცველი განყოფილება. პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა უპასუხა, რომ ოფიცრები ჟანდარმთა კორპუსისა, როგორც სამხედრო უწყების წევრები, ჯამაგირს სამხედრო სამინისტროდან ღებულობენ, ხოლო მცველ განყოფილებათა საოპერაციო ხარჯი გან, საკუთრებულ ფონდიდან იხარჯებაო. მაშინ მომხსენელმა ჰკითხა, ათი მილიონიან ფონდიდან დამცველ განყოფილებათათვის რამდენი გადაიდება ხოლმეო. პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა ზუევმა განაცხადა, რომ მას უფლება არა აქვს, პასუხი გასცეს მსგავს კითხვაზე. სათათბიროს წევრმა ანტონოვმა იკითხა, რამდენი ღებულობს დაცვის ორგანიზაცია კიევის დღესასწაულზეო. დირექტორმა მასაც უარი განუცხადა,- მონდობილი არა მაქვს პასუხი მოგცეთ მაგ კითხვის შესახებაო.

**მოსკოვი.** სასამართლო პალატამ ოთხი თვის ციხე გადაუწყვიტა კიევ ვორონეჟის რკინის გზის სადგურის უფროსს მაქსიმოვს, რომელსაც მიბარებული სამობილიზაციო პლანები დაუკარგავს.

**პეტერბურგი.** ასტრახანში გაემგზავრა უფროსი საექიმო ინსპექტორი მალინოვსკი, რათა ხელმძღვანელობა გაუწიოს ჭირის წინააღმდეგ ბრძოლას ყირგიზის ველში.

**კიევი.** საოლქო-სამხედრო სასამართლომ შვიდის დღის გარჩევის შემდეგ გაამართლა ყველა რვა კაცი, რომელთაც ბრალად ედებოდათ ავსტრო-უნგრეთთან მოსაზღვრე რუსეთის სამფლობელოთა გეგმის ავსტრიისათვის გადაცემა.

**ხლებნიკი.** მაზრაში მოჰკლეს სახაზინო არყის დუქნების ფულის მომკრები. გატაცებულია 10.000 მანეთზე მეტი. ბოროტ-მოქმედნი მიიმალნენ.

**ორენბურგი.** მაზრის მცხოვრებელთათვის 54.000 ფუთი პური იყიდეს.

**ვიატკა.** სასამართლო პალატამ ხულოსანთა ამქრის უსტაბაშად ნამყოფ ტარასოვს ორი თვის ციხე მიუსაჯა, ხოლო მის საქმის მწარმოებელს შესტაკის თვენახევრისა, რადგანაც ერთ ებრაელს ოსტატობის მოწმობა მისცეს, მისი ცოდნის შეუმოწმებლად.

**ტამბოვი.** ქალაქის საბჭომ ტამბოვისა და კოზლოვის მცხოვრებელთა ერთდროული განცხადების გამო შუამდგომლობა აღძრა მე-17 საუკუნეში ტამბოვის ეპისკოპოსად ნამყოფ პიტირიმეს უხრწნელ ნაწილების სადიდებლად ნებადართვისათვის.

**ვერნი.** 2 დეკემბერს დილის 5 საათსა და 54 წუთზე ხანგრძლივი გუგუნი ისმოდა, შემდეგ კი 4—5 წუთის განმავლობაში მიწა-ყრუდ ინძრა, რომელიც ბოლოს თანდათან გაძლიერდა.

**პეტერბურგი.** სათათბიროს დეპუტატ—გლეხთა ჯგუფმა განაცხადა-რა სამხედრო ბეგრის კანონ-პროექტი, დაადგინა მუხლობრივ განხილვის დროს ხმა მისცეს კენჭისა და მესამე ხარისხის შეღავათის დატოვებას, აგრეთვე შეღავათი უნდა მიეცეს უფროს შვილს, თუ უმცროსი ძმა 16-17 წლისაა.

**პეტერბურგი.** სათათბიროს სარწმუნოებათა-აღიარების კომისიამ მოიწონა კანონ-პროექტი სექტანტების მოქალაქობრივ და უფლებრივ მდგომარეობის მოწესრიგებისა.

სახალხო განათლების კომისიამ რუსეთის მოსწავლე ახალგაზრდობის შორის ფინურ და შვედურ ენებ[illegible]რცელების კანონ-პროექტის სურვილი გამოსთქვა ამ ენების უფასო კურსების საჩქაროდ დაარსებისა. იმავე კომისიამ მოიწონა სამრევლო სკოლების შენობათა ასაგებად და მასწავლებელთა ჯამაგირების გასადიდებლად—ნახევარ მილიონ მანეთის გადადების პროექტი. კომისიამ მიიღო სამრევლო სკოლების მასწავლებელთა საპენსიო კასის დაარსების კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვაზე გადასვლა.

**პეტერბურგი.** ხარჯთ-აღრიცხვის კომისიამ 17 ხმით, წინააღმდეგ პოლონელთა და ოპოზიციის 7 ხმისა მიიღო კანონ-პროექტი 1912 წლის 1 იანვრიდან ვარშავა-ვენის რკინის გზის სახელმწიფოს მიერ გამოსყიდვისა.

**თემირ-ხან-შურა.** გაიხსნა დაღესტანში პირველი დაბალი სახელოსნო სასწავლებელი.

**[illegible].** მოსკოვის საარქეოლოგიო ინსტიტუტის განყოფილება დაარსდა.

**ვერნი.** ღამის 12 საათსა და 35 წუთზე მიწა იძრა ძლიერის გუგუნით.

**ლიდა.** საქონლის მატარებელი გზას გადასცდა და გზაში გაიჩხირა. უფროს კონდუქტორს ფეხი მოსწყვიტა და შემჩერებელ მანქანის კონდუქტორი მოკვდა.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით ორის ოდე სიტყვით პასუხი გავცე ბ-ნ Homo-ს 1 დეკემბერს წარმოდგენილ პიესის „კრიტიკოსთან“-ის გარჩევის გამო (სახალხო გაზეთი № 466).

ჩემი ერთ მოქმედებიანი პიესა „კრიტიკოსთან“ ბ-ნ Homos-ს თქმისა არ იყოს, მართლაც სუსტი ნაწარმოებია, მაგრამ, მგონი, არც თუ ისე სუსტი და უაზროა, რომ მისი ავტორი მაგრე რიგად გააწითლოს. „პიესა იმდენად სუსტი გამოდგა, რომ მსახიობთა გულ-მოდგინე თამაშმაც კი ვერ შეიხსნაო“, ბრძანებს ბ-ნი Homo. ამაზე მე გავბედავ და მოვახსენებ ბ-ნ Homo-ს, რომ პირიქით, მსახიობთა უგულო, უსიცოცხლო და მოუმზადებელმა თამაშმა თავის თავად სუსტი ნაწარმოები უფრო დაასუსტა. ისინი რომ ცდილიყვნენ, ამაცილებდნენ იმ სირცხვილსა და სიმწრის ოფლის დენას, რომელიც იმ ჩემთვის საბედისწერო ღამეს განვიცადე. თუ თქვენ არა გჯერათ, გადიკითხეთ პიესა და დარწმუნდებით ჩემს გულწრფელობაში.

არც ერთი იმათგანი, გარდა ვალერიან გუნიასი არ იყო თავის ადგილას, არაფერი არა ჰქონდათ გაზომილი. ბ-ნნი მატარაძე და ციციშვილი თუმცა არ არიან ურიგო მსახიობნი, მაგრამ ცოტა მძიმე ხალხია, კომიკებათ არასოდეს არაყოფილან

---

და კარგსა და მერე სწონავს მართალ სასწორზედ. (იქნება აქ პურის მოედნის სასწორი მოაგონდეს უფ. გ. ბარათოვს, ეგ ჩვენი ბრალი არ იქნება). ამ ორგვარ თვისებაებს საგნისას ზოგიერთი კრიტიკოსი რა განარჩევს ცუდს და კარგსა, სასწორს დაუთმობს ხოლმე თითონ მკითხველს, ზოგიერთიც თითონვე ასწონავს ხოლმე. მეც ამ მეორე გვარ განმხილავებს მივმართე ჩემს აპრილის სტატიაში, რომელსაც კიდევ მაინც ვერ გაუბედე კრიტიკის დარქმევაო“. (იქვე, 204).

რაიც შეეხება ასოებს—ჳ, ჵ, ჲ, ჴ, ჸ, ჶ-ს ილია ჭავჭავაძე იმ აზრისაა, რომ ქართული ენა არ დაკარგავს, თუ ენის განსამარტივებლად სრულიად გამოვრიცხეთ ისინი. ჳ-ს მაგიერ ვ. კარგია. „სრულიად რა მესმის, რა განსხვავება არის ამ ასოთა შორის: „ჵ“ და „იე“, „ჲ“ და „ი“, „ჳ“ და „ივი“, „ჴ“ და „ჰოი“. იქნება ჩვენს უწინდელ ენაში იყო განსხვავება მაგ ასოთა შორის (და სწორეთაც უნდა ყოფილიყო, რადგანაც შემოუღიათ), მაგრამ ეხლანდელ ჩვენს ენაში არა ვხედავო“. (იქვე, 222). ერთის სიტყვით, საჭიროა ანბანის და მართლწერის განმარტივება და გაადვილება. ყველანი ამის ცდაში არიან და ჩვენ არ უნდა ჩამოვრჩეთ ამ მხრივ. ენა არ არის უმოძრავი და გაყინებული იარაღი აზრის გამოთქმისა“...

„ენა კერძო პირსავით, ამბობს ჩვენი ავტორი, იზრდება და ვითარდება, ამ ზრდაში იცვლება, როგორც ჩვენ კაცნი ზრდაში ვიცვლებით ხოლმე. ხშირად იქნება, რომ კანონები ერთს დროს საჭირონი, სხვა დროს უვარგისნი არიან ხოლმე, იმიტომაც ახალი ენა ძველს ენას არა ჰგავს, როგორც ახალი კაცი არა ჰგავს ძველ კაცსა. მაშასადამე, თუ მიბძანებთ, რომ რადგანაც ძველ წიგნებში ხმარებულია, იმიტომ ეხლაც უნდა ვიხმაროთ ეგ ასო,—ეგ უსაფუძვლო ბრძანება იქნება, როგორც უსაფუძვლოა თქვენი რჩევა, რომ ანბანის თეორეტიკა უნდა ის წავლოთ ხელოვნებისთვისაო“ (იქვე, 221).

ძველი კამათი ენის შესახებ ისევ გაჩაღებულია და ჭავჭავაძეს ამ კამათში შეაქვს ახალი შუქი, მაგრამ ახლა ეს კამათი გაფართოებულია და გართულებულა. ჭავჭავაძის მოპირდაპირენი აბრალებდნენ იმასაც, რომ ძველ მწერლებისადმი არავითარი პატივისცემა არ აქვსო. რა თქმა უნდა, ეს იყო სიცრუე. რუსთაველისადმი სიყვარული არა ერთხელ გამოუთქვამს ილიას თავის წერილში. მაგრამ მას მოუვიდა ერთი მარცხი. ჩვენის აზრით, ეს იყო მიზეზი, საიდამაც წარმოსდგა ბრალდება. ახალგაზრდობაში ჭავჭავაძე დიდ ფას არ აძლევდა ჩახრუხაძის პოეზიას. თავის „კრიტიკაში“ გამოსთქვა შემდეგი მოსაზრება: „აი, მაგალითად, ჩვენში, ქართველებში დიდი მწერლის ხმა აქვს დაგდებული ჩახრუხაძესა, მაგრამ არამც თუ დიდი, პატარაც არა ბრძანდება ის კურთხეული. მისი თამარის ქება მთელ მოთხრობადნაა, ზედ შესრულით დაიწყება და თითქმის ზედ შესრულით თავდება. რა ვაი ვაგლახით და კისრის მტვრევით მოგროვებს დავარდნილ ცხენსავით მისი ოცმარცვლიანი ტყვიასავით მძიმე ლექსები!.. არც აზრი, არც სურათი, არც მშვენიერება, არც ჰქუა, არც გული, არაფერისთანა არაფერი, გარდა ზედშესრულების რახა-რუხისა. აბა ეხლა ნახეთ, რა სახელი აქვს ჩვენში! სადაც რუსთაველს მაგ თითქმის გვერდით ახსენებენ, იქ, გინდათ თუ არა, წამოაკუნკულებენ ჩახრუხაძესაც, რომელსაც, გვგონია, ფიქრადაც არ ჰქონია ამისთანა დიდების იმედიო.[5]“ ჭავჭავაძის მსჯელობას ჩახრუხაძის შესახებ აჩქარების ხასიათი აქვს. ქართულ ლიტერატურის ისტორიაში, აკად. მარის აზრით, შავთელს და ჩახრუხაძეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ. მათ ნაწარმოებს სპარსეთის გავლენა აღარ ატყვიათ, ორიგინალური ხასიათი აქვთ. „თამარიანის“ ავტორის შესახებ მარი ამბობს: სიმშვენიერე თამარიანისა იხატება მისს საკვირველ მხატვრულ ფორმაში, მის მუსიკისებრ მომხიბლავ ენაში და მშვენიერ და მდიდარ რითმაში, საგანგებო და განსაცვიფრებელ რიტმაში, რომელიც გვავიწყებინებს ამა თუ იმ ლექსის არა-ბუნებრივობას. მართალია, ღრმა შინაარსისა არ არის, არ იპყრობს ყურადღებას აზრის გაბედულებით და სიღრმით. მიუხედავად ამისა, ამ შესხმის მნიშვნელობა სწორედ მის შინაარსში იხატება“. მარის აზრით, ამ სალიტერატურო ნაწარმოებში საუკეთესოდ მოსჩანს ქართული, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აზროვნება, უკიდურესობამდე განვითარებული.

ჩახრუხაძე ამ აზროვნების გამომსახველი იყო. აკად. მარის განმარტებით, ადვილად მისაღებია ის ჰიპოთეზა, რომლის ძალით ჩახრუხაძე და რუსთაველი ერთპიროვნებად მოსჩანან.[6])

ეს შეცდომა, რომელიც ჩაიდინა ჭავჭავაძემ ჩახრუხაძის დაფასებაში, გასაგები ხდება ჩვენთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, იმ დროინდელი ვითარება, თუ მივიღეთ მხედველობაში. ძველი და ახალი ერთმანეთს შეებნენ. „ძველის“ დასამარცხებლად „ახლები“ „ძველის“ გავლენისაგან განთავისუფლებას სცდილობენ. მაგრამ ძველიც არის და ძველიც. ხოლო ამისი გარჩევა გაჩაღებულ ბრძოლის დროს ისე ადვილი არ არის. აქედან შეცდომები, იმგვარი, როგორიც მოუვიდა ჭავჭავაძეს. რომ ჭავჭავაძე წარსულს და წარსულ მწიგნობრობას პატივისცემით ეპყრობოდა, ეს სჩანს თვით მის პირველ წერილებშივე. მაგრამ ამ წარსულს კრიტიკულად უყურებდა და იმ დროისთვის ეს იყო დიდი დამსახურება თავისუფალ აზროვნების უფლების მოპოვების საქმისათვის. ჩვენი ავტორი ამბობს: „ნურავინ ნუ გაიფიქრებს, რომ არ მესმოდეს დიდი მნიშვნელობა ანტონ კათალიკოსისა. ანტონი დიდს ალაგს დაიჭერს ჩვენს ლიტერატურაში, როგორც წარმომადგენელი იმ დროის საქართველოს განათლებისა. მაგრამ ეხლა, რომ პოეზიის განხილვა იმ დროის კანონებით მოვინდომოთ, ძალიან შევცდებითო“. [7])

დღეს ყოველივე ეს ანბანის ჭეშმარიტებაა, მაგრამ იმ ხანაში ეს ასე არ იყო. აზრი ტყვეობაში იყო და ყოველი დამოუკიდებელი მსჯელობა თავხედობად და უზრდელობად მიაჩნდათ. საჭირო იყო თავის დაღწევა აღმოსავლეთის ტყვეობიდან. აღმოსავლეთმა, რიგ რიგად ბიზანტიამაც, სპარსეთმაც, არა მარტო გარეგნულად გადაჰკეთეს ჩვენი ბუნება, გაჰბერეს და გაართულეს იგი ასე შესაფერ მანერებით პტყელპტყელ ლაპარაკის ჩვეულებით. ამ ჩვეულებამ თვით შეგვიპოჰა. „ყიზილბაშობა არც მყვარებია, არც მიყვარს, ამბობს ჭავჭავაძე, მე როგორც მესმის, ისე ვლაპარაკობ და პირდაპირ ვეუბნები კაცს: ეს ცუდია და ეს კარგია მეთქი“. (იქვე, გვ. 235). როგორ? პირდაპირ თქმა, ეს ცუდია და ეს კარგია! და ამასთან არც ბოდიშები, არ რევერანსები, არც კომპლიმენტები! ღმერთო ჩემო! რას იტყვიან ბრწყინვალე ლიტერატორები, ჯერ კიდევ თავიდან-ფეხებამდე ძველს ატმოსფერაში აღზრდილები, რას იტყვიან ბრწყინვალე კნეინები, სამწერლო ასპარეზზე გამოსულნი ყარაბადინით შეიარაღებულნი? რაცა სთქვეს უკვე ვიცით და რაც არ ვიცით, ქვემოდ გვეცოდინება. და ილია ჭავჭავაძეს სწორედ იმათი პასუხი ჰქონდა მხედველობაში, როდესაც გაცეცხლებულ გულზე ამბობდა:

„ნუ თუ მართლა რაც „ცისკარში“ იწერება საქართველოს ხალხის ფიქრია, ჰქუაა, გონებაა, ჩვეულებაა? ნუ თუ მართლა „ცისკარში“ ჩვენი განვითარებაა, ჩვენი განათლების ხარისხია გამოთქმული? ნუ თუ მართლა ეგრე დაეცა რუსთველის ხალხი, რომ ეგრე ფიქრობს, ეგრე ჰგრძნობს? მეც მაგასა ვჩივი და ვსტირი რომ, არა, ათასჯერ არა; მეც იმიტომ ესე პირდაპირ ვლაპარაკობ, რომ ვინც წინ დაუხედავად ბლაჯნის აღარა ბლაჯნოს, რადგანაც იგინი თავის ბლაჯნითა ამდაბლებენ ჩვენს ენას. მე იმისთვის ვლაპარაკობ აგრე სასტიკად, პირმოუფერებლად, რომ უნიჭონი და ამასთან უსწავლელნიც თავის ოთახიდან ფეხს ნუ გამოსდგამენ გარეთ, ლიტერატურაში. ამას გთხოვთ ხალხის სახელითა, ხალხისვე სახელის დაცვისათვისო!..“ (იქვე, 210).

ჭავჭავაძის გამოლაშქრების შემდეგ ჩვენებური სამწერლო ატმოსფერა აღარ დამშვიდებულა. კამათს კამათი მოჰყვა, თავდასხმას თავისდაცვა. ყველანი, ვინც კი იყვნენ გულნატკენნი ერთს ბანაკში შეჯგუფდნენ. გაჩაღდა პროტესტი ჭავჭავაძის და ახალ-თაობის წინააღმდეგ. მეტი არ იქნება აღვნიშნოთ ამ პროტესტის ზოგიერთი ტიპიური მომენტები.

სარდიონ ალექსიევ-მესხიევი, რომელსაც ქართულ ენის მცოდნის სახელი ჰქონდა საზოგადოებაში, ჰბეჭდავს „ცისკარ“-ში „უსტარს ანტიკრიტიკულს“, რომელშიაც, სხვათა შორის, ამბობს: „წრფელით გულით მოგახსენებ, თავადო ილია, როგორც გვამსა ასე გულწრფელად მოსაუბრე საანჯარმოდ, რომ გულმტკივნეულად წავიკითხე მე ქართველმა, ამგვარი ქართული ენა განათლებულის და განვითარებულის ქართველისაო“. შემდეგ ამისა პტყელპტყელის ენით ესაუბრება ქართულ ენის თვისებებზე და ბოლოს სურვილს გამოსთქვამს, რომ ჩვენი ავტორი გავარჯიშდეს „როგორც წყობილ სიტყვაობაში, ისე სადაგ სიტყვაობაში.[8]) შემდეგ ამისა, ვინმე ბირთვისელი სურვილს აცხადებს, რომ მოისპოს ეს კამათი. „ერთ არის მოთ ეუფ. ჭავჭავაძეზე სიტყვა, სწერს იგი რედაქტორს, და შეუდგეთ სხვა უფრო სასარგებლო საქმესო.[9]) მას მოჰყვება კნ. ჯორჯაძის „პასუხის პასუხი“. „ერთი კაცი დასცინის ათას, ათი ათასს, ერთის სიტყვით, მთელს საზოგადოებას, გამწარებულად უსაყვედურებს ნაწყენია კნეინა თავის „უზრდელ“ მოპირდაპირეს. მკერ-მეტყველობით და მღაოლის ხმით ბრძნებთ, თუ „ცისკარი“ უვარგისია, კიდევ თქვენგან, ყვავებო ფარშევანგის ფრთებითა, ბულბულებო ყორნის ჩხავილითაო. საკვირველია კი, რომ მერცხალი კი დაგვიწყებიათ და არ გითქვამთ: მერცხალნო ლორებრ ჰყივილითა, გესლიანათ გადაჰკრავს სიტყვას ჩვენი კნეინა. და იგრძნობს რა, რომ ამ „ჰყივილის“ მოგონებით ცოტა არ იყოს სჩხვლეტს მოპირდაპირეს, იგი განაგრძობს: „შეიძლება ვსთქვათ: ჩვენი სახალხო პოეტი თ-დ ილია ჭავჭავაძე თავის უკვდავ ჩანგზედ ჰხვინებს ანუ ღმუის. მითომ რატომაო!.. ბოლოს კი სტუქსავს: „მიხედეთ სარდიონ მესხიევს, როგორიც ზრდილობიანის კალმით გამხილებთ თქვენს შეცთომებს, აი ძველი კაცი. არა ჰგავხართ..."[10])

იმერეთიდანაც გაისმა პროტესტის ხმა. ერთს წერილში, რომელსაც ხელს აწერს „ზემოური იმერელი, გორისელი წერეთელი ეფთიმე, (ექვთიმე წერეთელი, გიორგი წერეთლის მამა. ავტ.)“ ვკითხულობთ: „უფალო რედაქტორო! იათხის დღის წინად ქუთაისში ერთი პატივცემული მოხუცის სახლში შევედი. იქ მასპინძელმა მეუღლემ და იმის უნიჭიერესმა ძმისწულმა ყმაწვილმა ქალმა თქვეს, რომ განვლილის წლის „ცისკარში“ კაცს აღარ ჩაე-

5) № 4. 1861 წ.

6) Марръ. Тексты и Разысканія IV. Древне-грузинскіе одописцы, გვ. 49, და შემდეგ.

7) N 6. 1861 წ. 238 გვ.

8) N 6. 1861 წ.

9) № 8. 1861 წ.

10) N 9, 1861 წ.

და იმ ღამეს ხომ სასწაულს ვერ მოახდენდნენ!—ბ-ნი იზნნელი, რომ გარჯილიყო და უფრო ჩაჰკვირვებოდა თავის როლს, იმედია, მიზანს მიაღწევდა. ის დალოცვილი ყველა როლს ნიჭიერად და პირნათლად ასრულებს იმ ღამეს კი თავის ჩვეულებას უღალატა. რასა ჰგავდა მისი ჩაცმულობა, ან მიხვრა-მოხვრა, ან გრიმი? რა საჭირო იყო ის ვეება კეტი, ან ის ქამარში გარჭობილი რევოლვერი, ან ბუდერ შაფტელი პაპიროზის მოწევა? არაფერი როლის მსგავსი მე პიესაში არ მიწერია. როლი ხომ სულ არ იცოდა და არა. იმან გაამპიროვნა ვიღაც ტყის კაცი, ვოდელ ლაშლანდიელი და არა ჩემი პიესის ერთ ერთი მომქმედი პირი. ჩვენ მსახიობთ მე პატივსა ვცემ და დიდადაც ვაფასებ იმათ ღვაწლს სამშობლო სცენის წინაშე, მაგრამ არ შემიძლიან გავჩუმდე მაშინ, როცა ჩემს სახელის დამარცხვაში იმათაც უდევთ წილი. რა თქმა უნდა, არც ერთ იმათგანს ეს განზრახ არ ჩაუდენია, მაგრამ ასე იყო თუ ისე, და თვის სამსახური კი გამიწიეს. არ იფიქროთ თითქოს ამ შენიშვნით მე საკუთარ ცოდვებს იმათ ვახვევდე კისერზე, არა, ღმერთმა დამიფაროს ასეთი მარცხისაგან. მე თავშივე ვაღიარე ჩემი პიესის უტყუარი სისუსტე. იმათ მოხდენილი თამაშით შეძლების დაგვარად სული უნდა ჩაედგათ პიესისთვის და ის ცოტაოდენი ღირსებაც კი არ დაეჩრდილათ, რომლის გულისთვისაც იგი დიდმა ჩვენმა მსახიობმა თავის ბენეფისში დაიდგა; რომ რითიმე არ მოსწონებოდა, დარწმუნებული ვარ თავსაც არ შეირცხვენდა. ბ-ნი კოტე მესხიც ვერ იყო თავის გუნებაზე. კარგი იქნებოდა ახალუხი ეცმოდა და არ გამოეტოვებინა ზოგი რამ და „სიხას ბარინ“-ის ნაცვლად „ამ საათში ბატონო“ ეთქვა ისე, როგორც პიესაშია ხოლმე. ვერც მობენეფისე იყო გუნებაზე. ამას რა თქმა უნდა თავისი საფუძვლიანი მიზეზები ჰქონდა, მაგრამ რაკი მისი დღესასწაული იყო, ვალდებული იყო, უფრო სერიოზულად მოპყრობოდა იმ პიესას, რომელიც თვით იმან აარჩია. როლი არც იმან იცოდა ხეირიანად. არა ჰქონდა გამოზომილი ნაკისრი როლის სიგრძე სიგანე. ხან აკლებდა, ხან კი თავისას უმატებდა. ლაქიას „დურაკი“ უწოდა, როცა პიესაში ამ სიტყვის ჭაჭანებაც კი არაა. ავტორებთან ლაპარაკის დროს უხერხულობას იჩენდა. იმის ნაცვლად, რომ მისი ყურადღება სტუმრებისკენ ყოფილიყო მიპყრობილი ის ჩაჰკირკიტებდა რვეულს და რაღაცას სწერდა, ბ-ნი გუნია იმის კაბინეტში დახტოდა, აზრებს ჰაერში იჭერდა, საზოგადოება იცინოდა და ის კი ყოველივე ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. სხვათა შორის, პატივცემულმა მობენეფისემ დაუშვა ერთი საგრძნობელი შეცდომა; იმ ალაგას, როცა ცოლს უხსნის ავტორების ვინაობას, სთქვა: „ზოგი მათგანი, მარქსის სახელით ისეთ სისულელესა ჩმახავს, რომ სიცილით მოკვდები, ზოგის აზრით კი საქართველო მაშინ აყვავდება, როცა ქართველი ესდეკები ქართველებსვე ამოსწყვეტენო“. პიესაში კი ეს ასეა: „ზოგის აზრით კი საქართველო მაშინ აყვავდება, როცა ქართველ ესდეკებს ქართველებივე ამოსწყვეტენო“. როგორც ჰხედავთ ამაში განსხვავება დიდია და ძალიან ვწუხვარ, რომ ეს ასე მოხდა, რადგან ამ გარემოებამ მე იმ ღამეს უზომოთ გამაწითლა, სერგოს შემოსვლამ რა თქმა უნდა დიდი მოწყენა შემოიტანა. ეს საკუთრივ ჩემი ბრალია, რას იზამ.... ეხლა ბევრს ვნანობ, მაგრამ გვიანღაა თვის ნეკზე კბენა“ თუმცა სხვა ვინმე, მაგალ., კ. შათირიშვილი ამ როლსაც თავისებური სიმკვირცხლით გააშუქებდა. იმ ღამეს ერთად ერთმა კაცმა შეასრულა თვისი მისია პირნათლად და ჩინებულად, ეს კაცი იყო ვალიკო გუნია რისთვისაც იმის მადლიერი ავტორი დიდ მადლობას უძღვნის. აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ რაღაც მოსაზრებით ორი მომქმედი პირი გამოსტოვეს ეხლა ვხედავ, რომ ისევ სერგოს გამოტოვება სჯობდა. ბოდიშს ვიხდი მსახიობთა წინაშე თუ რამე უსამართლობა გაუშვი იმათ წინააღმდეგ. ღმერთია მოწმე თუ რა წრფელის გულით ვეპყრობი ჩვენს თეატრსა და მსახიობთა. პატივისცემით

ტრიფონ რამიშვილი.

## გამოსადეგი ცნობა

### მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.) (დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის:

ბათუმისაკენ: 1) საჩქარ. მატარებ. № 7, II—III კლ. საღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) საფოსტ. მატარ. N 5. I—III კლას. საღ, 5 ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 ს. 26 წ. 3) სამგზავრო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 4 ს. 56 წ., რიონში დილ. 6. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატარ. N 2 I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარში ღამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ. 2) საფოსტ. მატარ. № 6, I—II კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარში დილ 7 ს. 34 წ. ბაქოში 8 ს. 11 წ. 3) სამგზავრო მატ. N 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარში დღ. 3 ს. 20 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ. 4) შერეულ. მატარ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარში დილ. 5, ს. 58 წ. ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატარ. N 9/66, I—III კლ. დღ 3 ს. 23 წ. ბორჯომში 9 ს. 2 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) საფოსტო მატ. N 74/75, I—III კლას. საღ. 11 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 11 ს. 10 წ. 2) სამგზ.-საქონლ. მატარ. N 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილ. 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან: 1) სამგზავ. N 6, I—III კლ. 2 ს. 50 წ. საფოსტ. N 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ., 3) სამგზ. N 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) სამგზ. N 5, I—III კლ. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტო N 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი N 1, I—III კლას. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული N 107 IV—III კლ. ღამ. 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო N 72/73, I—III კლ. 8 ს. 25 წ., 2) სამგზ.-საქონლ. N 80/81, II და III კლ. დღ. 1 ს. 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზავრო № 61/10 I—III კლ. დილ. 8 ს.

შენიშვნები: 1) გადაუჯდომლად პირდაპირი მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებითა).


## განცხადებანი

### სამკურნალო ექიმთა საზოგადოებისა.

მუდმივის საწოლებით.

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

ბლაჟანოვი—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა — დღის 11—12 საათამდე.

ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნერვებისა, სულით-ავადმყოფთ. ელექტროთერაპია დილის 11—12 საათამდე.

კამინსკი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ, დილის 11—12 საათამდე.

მალაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სათ.

ა. დ. კალმიკოვი-ვნუკოვისა—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონით და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

წამლობა „606“-ით.

(100—1615—3)

ექიმი ზ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის.

### დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა. დაარსებულია 1880 წელს. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ექიმნი:

ზ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

უ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მოდინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. აფელბაუმი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პოგოსოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის. აცრა.

ქალ. ექიმ. ბ. ს. ზილბერმანი: 12 ნახ.—1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.

გ. ი. გურგენოვი: 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი 1—1½ ს. შინაგ. და ს. ბავშვთ.

ბ. გ. ბაბახანოვი: 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

საღამოთი

ქალ.-ექ. ბ. ს. ზილბერმანი: 6—6 ნახ. ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

მ. გ. აფელბაუმი: 6—7 საათ.

11—12 ს. 606 წამლობა. კონსულტაციურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ზ. ა. ნავასარდიანი.

(წ. (1168—195)

მუხრანის ქუჩა

### სამკურნალო

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. в 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ა. ა. გაზაშვილი—შინაგან სნეულებანი, დილის 10—11 ს.-დე.

ბ. მ. გოგოხერიძე—შინაგან და ბავშვებ., დილის 11—12 ს.-დე.

მ. კ. ისახელიანი—დედათა სნეულებ., დილის 10-ნახევრიდან 11 ს.

მ. ლ. შტრეიხერი—ყელისა და ყურისა, 11 ნახ.—12 ნახ. ს.

ლ. გ. ხაჭაპურიძე—შინაგან და ბავშვებ., 12 ნახ.—1 ს.-დე.

იაშვილი—შინაგან, 1—2 ს.-დე.

გ. ბ. მელიქსეთიანი—ქირურგ., 12—1 საათამდე.

ა. ა. გრიგორიანი—ქირურგ. 11—12 ს.-დე.

გ. ა. აბგეროვი—შინაგან, 12 ნ ს.—1 ნახ. ს.-დე.

მ. დ. კალთახჩიანი—ქირურგ. 12 ნახ.—1 ს.-დე.

კბილისა, 8—10 ს.-დე.

მ. გ. მიქირტუმოვი—დედათა სნეულებანი და საბებიო, 1 ნახ.—2 ს.-დე.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata) „606“-ით, დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

№ 646. 100—50 (0—1003—188

გამოცდილმა

### მასწავლებელმა

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა—მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. — მიღებულთა პირობებით: გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე. საბებიო ინსტიტუტისთვის. სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

ამზადებს გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა სასწავლებლისათვის, სამთომადნეთ და სატეხნიკო სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე, ყველა კლასის ჩინისთვის. ღებულობს ანზანის უცოდინარ ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები—მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8-საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც, პანსიონში.

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1 входъ съ подъѣзда нижнiй звонокъ спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. N 38. (недалеко отъ памяти. Воронцову).

(თ. 1034.36)

### სამშობიარო თავშესაფარი მ. ი. პრემერ

ნიკოლოზის ქუჩა, № 47. ორსულ და მშობიარე მანდილოსანთა მიღება ყოველ დროს, დღისით და ღამით. მიიღებიან ქალთა სნეულებისა და საბებიო საქმისათვის. გასინჯვა და შემოწმება ძიძებისა და მოახლეებისა; ყვავილს უცრის ყოველ დღე ნაშუადღევის 1—2 საათამდე თავშესაფარის გამგე დოქტორი-მედიცინისა.

(26—918—25) ი. გ. კალამკაროვი.

ვ ი ლ ა

### საეკლესიო სამხატვრო

საქმეებს ს. მსურველთ შეუძლიანთ მომმართონ სოფ. პრიუტში, მანგლისის გზა. ტფილისის მახლობლად, მხატვარი მღვდელი მელიტონ ყანჩაველი.

(23—958—8)

აგენტი

### მ. ა. გაჩონია

ღებულობს განცხადებებს როგორც ადგილობრივ, ისე სხვა-და-სხვა ქალაქების გაზეთებისათვის. განცხადების შემკრები აგენტადაა ლ. ე. მეტრეველისა და ამ. და საქციონერო საზოგ. „ანონსის“ რკინის გზის სადგურებზე, ვაგონებზე და ტრამვაებზე პლაკარტების გაკვრის საქმეში.

მისამართი: ტფილისი, სასტუმრო „იმპერიალი“, კიროჩნისა და მიხეილის პროსპ. კუთხე; ტელეფონი—N 925.

მიღება ყოველ დღე დილის 8—3 ს და საღამოს 4—5½ საათამდე.

ფრანგთა უსახელო საზოგადოება კავკასიაში

### საავტომობილო მიმოსვლისა.

ზამთრობით მიმოსვლა ავტომობილით 1911 წ. 2 (15) ნოემბრიდან

—◀ ბორჯომსა, ახალციხესა და აბასთუმანს შუა ▶—

ბორჯომიდან გადის ახალციხისკენ ყოველ დღე, საღამოს 4 საათზე. ახალციხიდან — ბორჯომისკენ დილის 9 საათზე. კვირაში ერთხელ, პარასკევობით, ავტომობილი ივლის აბასთუმნამდე, ხოლო მეორე დღეს, შაბათს, უკანვე დაბრუნდება—დილის 8 საათზე, გაივლის ახალციხეს—დილის 9 საათზე.

ფასი: ბორჯომ-აბასთუმანი . . . 5 მან.; ბორჯომ-ახალციხე . . . 3 „; ახალციხე აბასთუმანი . . . 2 „

ბარგი ყოველ ფუთზე—50 კაპ.

(24—1581—9)

### გამოვიდა და იყიდება თხზულებანი:

| | | |
|---|---|---|
| არჩილ ჯორჯაძისა: | წ. I. „ეროვნულ პრობლემის გარშემო“, | ფ. 75 კ. |
| „ „ | წ. II. „ჩვენი საზოგადოებრივობა“. | ფ. 80 კ. |
| „ „ | წ. III. „ნაპერწკალი“ | ფ. 65 კ. |
| „ „ | წ. IV. წერილები „ენობის-ფერმელ-მოამბიდან“, 1901—1902 წ. | ფ. 85 კ. |
| ჩ ა ნ ი ძ ი-სა: | „ერი და კაპიტალიზმი“ | ფ. 1 მ. 20 კ. |
| შ. ქიჩიანისა: | „სამეგრელოს მთავარი ლევან“, ისტ. დრამა | ფ. 40 კ. |
| ნ. შიუკაშვილისა: | „მეგობრობა“, 4 მოქმ. დრამა | ფ. 20 კ. |

ყველა ამ წიგნების შეძენა შეიძლება სხვათა შორის ქ. შ. წ. ს. კ. ს. წიგნის მაღაზიაში, ტფილისში და ქუთაისში კვიციარიძისა და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიებში.




(40—1465—35)

### „სორაპნის“ გამოცემა.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ

### კედლის კალენდარი 1912 წლისა,

შედგენილი გრიგოლ ჩარკვიანის მიერ.

კალენდარში სხვა და სხვა სასარგებლო ცნობათა გარდა მოთავსებულია მრავალი სურათები ჩვენი საზოგადო მოღვაწეებისა. კალენდრის კარდონი დაბეჭდილია სხვა და სხვანაირი ფერადი სადებავებით ლითოგრაფიაში სუფთად და ლამაზად შეკრულია თუნუქით, რომ ამყვეს დროს არ დაძვრეს. ✦ ფასი კი ისევ ძველებურია 40 კაპ. ✦ დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ „საბალნი. კალენდარი მ. გაჩეჩილაძის შედგენილი. ფასი 20 კ. საბითუმოდ მყიდველებს დავუთმობთ პროცენტები“. ადრესი: Тифлисъ Типографiя „Сорапанъ“, М. Гачечиладзе. (20.1594.9)


ხედებოდა და წელს ამისთვის აღარ ვაწერთ ხელსაო. და საწუხარია ჩუჱნთვის, რომ ჩუჱნი სამშობლო ენა ლამის დაეცესო, ვიღაც ჭავჭავაძე აუტყდა, და არა ცილდება იმ კახელს ჯორჯაძის კნეინას, შეუსაბამოს სიტყვებით იხსენიებს, რისთჳს? სიმართლისათჳს და მშუჱნიერის ლექსების წერისათვის? რომლითაც გაბედვით შემიძლია ვსთქუა, სასმენელს ატყობდნენ და გულს ალხენდნენ“... ზემოური იმერელი, გორისელი წერეთელი ეფთიმე ძლიერ აღშფოთებული იყო ამ გარემოებით. იგი შეურაცხყოფილის აგრედვე როგორც ძველს ლიტერატურაში ნაკითხი ადამიანი: „ჰოი ღმერთო, რა მესმის! განაგრძობს ჩვენი ეფთიმე. ქართუჱლი კაცის სასმენელი იმდენად როგორ შეიცვალოს, რომ ანტონ კათალიკოსის მაღალ ნიჭიერს სიტყუობას სწუნობდეს და რას სახელდობ: მის წყობილ სიტყვაობას, მის აკრისტიხულებას და მის იამბიკოებასო... 11) მართლაც აღშფოთებულნი უნდა ყოფილიყვნენ „აკრისტიხულების“ და „იამბიკოების“ ტრადიციების შეცვლნი და წამკითხველნი „დიდი ვასილის ითიკისა, დამასკელის განმარტებით!“ ქუთაისიდან იწერებოდნენ კიდევა, „რა დროსაც უნდა გავეელოთ ბულვარში, უეჭველია რომ გაიგონებდით: ჩვენი ეფთიმეს სტატია წაიკითხეო! თქუჱნ ნუ მომიკვდებით ძალიან კარგი სტატიაო, ძალიან კარგა დაუწერა თავ. ჭავჭავაძესო, 12)“.

ყველა ამის შემდეგ ილია ჭავჭავაძეს „ცისკარში“ წერის ნება აღარ მისცეს. თუმცა ერთ-ერთ წიგნში რედაქტორი აცხადებდა13), ჭავჭავაძეს წერილი „ანტიკრიტიკული უსტარის“ პასუხად მალე დაიბეჭდებაო“, მაგრამ ამ წერილს დაბეჭდვა აღარ ეღირსა „ცისკარში“. სამაგიეროდ, დროგამოშვებით ახალ თაობის ზოგიერთ წევრებს „თერგ დალეულებს“ ორიოდე სიტყვას ათქმევინებდნენ ჟურნალში. ერთი თერგ დალეული პეტერბურგიდან წერებოდა:

ჩუჱნ აქა ვართ სამნი ძმანი,
სამნივ თერგ დალეულთაგანი.
მე გახლავართ გორისელი,
ერთი ამ სამ ძმათაგანი14).

მეორე თერგ დალეული იწერებოდა: „უფალს ზემოურ იმერელს, წერეთელს ეფთიმეს არ ესმის პოეზია. სამღთო სიტყვა და პოეზია იმ დალოცვილს ერთი გონია. ერთი ალილუია, ერთი პოეზია ჰგონია, ორი ალილუია, ორი პოეზია, სამი, სამი და ამ გვარათო15). მესამე თერგ დალეული ისიც პეტერბურგიდან, „ცისკრის“ მიმართულებას ეხება: „იმზობენ ქართველები ზრდილი და თავდაბალი კაცები ვართო. თუ ვინმემ გვიბძანა, ერთი ან ორი ვერსი გაიარეო, ჩვენ ათს გავიჩანჩალებთ. ასე და ამ ჩვეულების აღმასრულებელი ჩვენი „ცისკარიც“ ერთი ღვდლის მაგიერად ეუბნებოდა აღსარებას ათსო“16).

მოლაყბე? იკითხავს მკითხველი, მოლაყბე რაღა იქნა, ვისი მხარე დაიჭირა? მოლაყბე როგორღაც აღარ ისმის, იშვიათად სწერს. გაცხარებულ პოლემიკის დროს იგი არა სჩანს. ბოლოს გამოჩნდება. რედაქცია მას შეჰყურებს და მისი იმედით არის. მოლაყბე კი გადაჭრით არას ამბობს, უფრო კი თითქოს ძველებს ემხრობა, მომეტებულად კი „თანხმობის საჭიროებაზე მქადაგებლობს. განათლებაზე მაღლა სდგას თანხმობაო17) მკითხველს ეხსომება, რომ წინა წლებში თანხმობის ჩამოგდებას აგრე რიგად არ დაგიდევდით ჩვენი მოლაყბე. ახლა დრონი იცვალნენ, საქმის გამწვავება არ უნდოდა, თუ სხვა უფრო დიდი ზრომა იპყრობდა მის ყურადღებას (ეს მეორე მოსაზრება უფრო მიუახლოვდება სიმართლეს), — ერთის სიტყვით, მოლაყბემ მეომარი პოზიცია არ დაიჭირა და სხვას დაუთმო ბურთი და მოედანი.

მაგრამ 1862 ბოლოში გარემოება იცვლება. „ცისკარში“ დაიბეჭდა განცხადება: „მომავალ 1863 წ. იანვრის თვიდგან გამოიცემა ტფილისში ახალი ქართული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“. პროგრამის შესახებ განცხადებაში ბევრი არაფერია. „ჩვენ ვირჩიეთ, ვკითხულობთ, რომ თითონ ჟურნალმა გამოიჩინოს თავისი თავი, თითონ საქმეში გამოსთქვას თავისი ხასიათი და არჩეული გზაო“ ხელს აწერს ილია ჭავჭავაძე. რედაქტორი „საქართველოს მოამბისა“18).

ამ გვარად გვიარსდება მეორე ჟურნალი. ახალი ორგანო გვპირდება, განსაზღვრული მიმართულება მექნება და არჩეული გზა. ხდება პირველი რეალური დიფერენციაცია ქართველ ინტელიგენციის წრეში. საზოგადოება ორ ჯგუფად იყოფება. განვითარება გართულებაშია. ეს სოციოლოგიური კანონი, სხვათა შორის, დადასტურებულია ქართველ ინტელიგენციის დასაწყისის ისტორიითაც.

არჩილ ჯორჯაძე.

(გაგრძელება იქნება).

11) N 2. 1862 წ.
12) N 6 1862 წ.
13) N 9,10. 1861 წ.
14) № 4. 1862 წ.
15) № 5. 1862 წ.
16) № 9. 1862 წ.
17) N 9 1862 წ.
18) N 10 1862 წ.

სტამბა „სორაპანი“, სალდათების ქუჩაზე. რედაქტორ-გამომცემელი ქურდღელაშვილი.